

მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების ინკლუზიური
გაშუქება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში

(გადაცემების - „მომბე“ 20:00 საათზე და „რეალური სივრცე“ მიხედვით,

საკვლევი პერიოდი 27.02.2017 – 28.05.17)

ლია ზამბახიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კინწურაშვილი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი შეეხება მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების ინკლუზიურ გაშუქებას საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. აქამდე ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მედიასაშუალებები, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი, გენდერთან, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებულ თემატიკას, ძირითადად, კონფლიქტური სიტუაციების, ძალადობისა და დაპირისპირებების დროს უთმობდა ეთერს. ინკლუზიური მიდგომა კი, თავის მხრივ, გულისხმობს მოცემული ჯგუფების პოზიტიურ კონტექსტში გაშუქებას, სხვა საკითხებთან მიმართებით მათი მოსაზრებების ჩვენებას, უმცირესობების წარმომადგენლების სამუშაო პროცესში ჩართვასა და ინტეგრაციას.

საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების ინკლუზიური გაშუქება კანონით ნაკისრი შინაარსობრივი ვალდებულებაა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებული დოკუმენტების მიხედვით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მედიასაშუალება აღნიშნულ ვალდებულებას პრიორიტეტად არ მიიჩნევს.

რაც შეეხება სამთვიან (27.02.2017 – 28.05.17) მედიამონიტორინგს, რომელიც „მომხმეა“ და „რეალურ სივრცეს“ შეეხებოდა აჩვენა, რომ გარდა ერთეული შემთხვევებისა, მედიასაშუალება მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს პროტოკოლურად აშუქებდა. ზოგიერთ შემთხვევაში, უმცირესობების წარმომადგენლები წარმოჩინდებოდნენ როგორც მასალის ობიექტები. ამასთან, მონიტორინგის პერიოდში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა მათ რეალურ პრობლემებსა და საჭიროებებს.

ნაშრომის ემპირიული ნაწილი დეტალურად მიმოიხილავს მოცემული კუთხით არსებულ მაგალითებსა და იმ დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკას აღნიშნული მიმართულებით.

Abstract

This thesis deals with inclusive coverage of issues related to diversity by the public broadcaster. The earlier conducted surveys have shown that media, including the public broadcaster, mainly focuses on gender, ethnic and religious minorities thematic, during conflict situations, violence and confrontation. The inclusive approach means coverage of these groups in the positive context, displaying their opinions on other issues, involvement and integration of minority representatives into the working process.

For the Public Broadcaster inclusive coverage of the issues related to diversity is the obligation undertaken by law. According to the documents analyzed within the survey, we can say that the media does not consider this commitment as a priority.

As for the three months (27.02.2010 - 28.05.17) media monitoring, which was about "Moambe" and "Real Space", showed that, except the single case, media covered the issues related to diversity like protocol. In some cases, the representatives of minorities were represented as objects for material. In addition, during the monitoring period less attention was paid to their real problems and needs.

The empirical part of the thesis in details examines examples from this point of view and the documents that define the editorial policy of the broadcaster in this direction.